

# 24 საათი

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

## \*2424

### რევესი კოლუმბიას გადაამტარა

A4



### საქართველოს ექსპერტები

A6



### დინამური სიურპრიზი

A8



# დასჯის შიში

#### დინამური ავალიანი

რუსეთის იზოლაცია კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. გაერო-ში დაცვაზე პასუხისმგებლობის პრინციპის განხილვისას, რომელიც გენოციდისა და სხვა მძიმე დანაშაულის შემთხვევაში საერთაშორისო თანამეგობრობის

ჩარევის მექანიზმების შემუშავებას ითვალისწინებს, ამ იდეის წინააღმდეგ მხოლოდ რუსეთი, ირანი და სუდანი გამოვიდნენ. როგორც აღმოჩნდა, რუსეთი, რომელმაც საქართველოს წინააღმდეგ აგრესია სწორედ გენოციდის თავიდან აცილებაში გაამართლა, დანაშაულის წინააღმდეგ რაიმე ქმედითი

საერთაშორისო მექანიზმის ამოქმედების პერსპექტივამ შეაშინა, რამაც გასულ წელს მოსკოვის მიერ ჩადენილი დანაშაული მსოფლიოსთვის კიდევ უფრო ამ კარა გახადა.

ნება დაერთოს თუ არა საერთაშორისო თანამეგობრობას, ძალა გამოიყენოს და ჰუმანიტარუ-

ლი ინტერვენცია განახორციელოს იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც მძიმე დანაშაულს სწადიან მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ? ამ საკითხის განხილვამ 29 ივლისს, გაერო-ს გენერალური ასამბლეის სხდომაზე, დაძაბულ კამათი გამოიწვია.

ბაზრძილაბა A3 გვირგვინი

# ინციდენტი ოკუპირებულ ზონასთან

#### დათო ბაჩისონია

რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების ერთი წლისთვის თარიღის მოახლოებასთან ერთად, ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარე სოფლებში კვლავ გაისმა ცეცხლსასროლი იარაღის ხმა. ნალმტყორცნიდან, ავტომატიდან და ტყვიამურქვევიდან გახსნილ ცეცხლს ამჯერად მსხვერპლი არ მოჰყოლია. ქართული სამართალდამცავი უწყების ოფიციალური ცნობით, სროლა 29 ივლისს 23:30 საათზე დაიწყო. რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ცხინვალის სოფელ ნიქოზში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგუშავო ამოიღეს მიზანში.

ცხინვალის ხუთი კილომეტრით დაშორებული გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზის მიმართულებით ინტენსიური სროლა ერთ საათს გრძელდებოდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ინფორმაციის მსგავსად, ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ბეჭდვითი სიტყვისა და მასობრივი კომუნიკაციის სამინისტრო მიიჩნევს, რომ 29 ივლისს, შუალდამისას, ქართული მხრიდან ისროდნენ.

ბაზრძილაბა A2 გვირგვინი



ევროდამკვირვებლები ინციდენტს გამოიძიებენ

# დღეს პარლამენტი ახალ სახალხო დამცველს აირჩევს

#### გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის რიგგარეშე სესიის დღევანდელ სხდომაზე ერთ-ერთი მთავარი საკითხი სახალხო დამცველის არჩევა იქნება. ომბუდსმენის პოსტზე პრეტენზიას ორი პერსონა აცხადებს: სახელისუფლებო გუნდს სურს, რომ სოზარ სუბარის თანამდებობა გიორგი ტულუშმა ჩაიბაროს, საპარლამენტო უმცირესობა კი დეპუტატ დიმიტრი

ლორთქიფანიძეს უჭერს მხარს. გუშინ მათი კანდიდატურები ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე იხილებოდა, თუმცა ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიღებულა: კომიტეტის თავმჯდომარე გია არსენიშვილი ორივე პრეტენდენტს დადებითად ახასიათებს და აცხადებს, რომ ომბუდსმენის თანამდებობაზე ორივე მათგანის ყოფნა პრინციპული და სამართლიანი

იქნება. შესაბამისად, გუშინ საპარლამენტო კომიტეტმა რეკომენდაცია ტულუშსაც მისცა და ლორთქიფანიძესაც ასე რომ, ყველაფერი დღევანდელ რიგგარეშე სესიაზე გაირკვევა. მართალია, ორივე კანდიდატი, ფორმალურად, თანაბარ სასტატუტო პოზიციაში იმყოფება, თუმცა გიორგი ტულუშის გამარჯვება ეჭვს მაინც არ იწვევს - მას საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერა გარანტირებული აქვს.

ალსანიშნავია, რომ სახელისუფლებო ფრაქციის ფავორიტს მოქმედი სახალხო დამცველიც დადებით ახასიათებს აძღვეს. სოზარ სუბარი ომბუდსმენის თანამდებობაზე გიორგი ტულუშის კანდიდატურის წარდგენას მიესალმება და მიიჩნევს, რომ ის საკუთარი საქმის კარგად მცოდნე, გამოცდილი, პროფესიონალი და ამავდროულად, პრინციპული ადამიანია."

ბაზრძილაბა A3 გვირგვინი

**24 საათი**

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე [www.24saati.ge](http://www.24saati.ge)

ჩვენი პარტნიორები:







# საზოგადოებრივობის საჭირო რეკლამები

## ერთი ავარდავითი

ადგილი ყველას იტევს, თუმცა სურვილი ყველას არ აქვს. ასაკი ერთი აქვთ, მსგავსი გემოვნება და სურვილიც მსგავსი - ამ შემთხვევაში "ფრანთი ხელი", ან მის გარეშე "თავი სამოთხეში" თუ არა იმ გარემოში იგრძნონ, სადაც "აკორდებთან" ერთად ემოციები, გრძნობები და დიდი დოზით სიყვარული დაფრინავს. აქ ნაკლებად მნიშვნელოვანია რამდენად მოდურია მუსიკა, რამდენად ხმამაღალი და ხშირია ელექტრონული ბასები და რამდენად აუცილებელია ცეკვა. თუ გარეთ ჰაერი აგრესიით, პროტესტით და უკმაყოფილებითაა გაჟღერებული და რეგულაციებს ითხოვენ, აქ სიმშვიდე... და სიმშვიდესთან ერთად "მოაქვთ გუგუნი". ისინი წყნარად სხედან და უბრალოდ უყვართ. უყვართ მუსიკა, უყვართ რომ უმღერინან გრძნობებზე, ერთად ყოფნაზე. მათ ეს სჭირდებათ და მოსწონთ. ამიტომ ტყუილია, რომ ისინი ზედმეტად პრაგმატულნი არიან. გოგონები და ბიჭები - საზოგადოების ის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია (ან უნდა იყოს). ხოდა, მეც მათ შორის ვარ. ამ დღეს მათთან მეც ფოლკლორისა და თანამედროვე ხელოვნების, ესთეტიკური თუ მუსიკალური სიამოვნების მიღების წყურვილი მაერთიანებს და "სულიერი საზრდოს" ძებნით მოსული მსმენელი ვარ. მოკლედ, ისინი სხედან და უსმენენ. არჩევანი აქაც ორია: სმენა- დამკვირვებლის პოზიციაში ყოფნა, ან სიმღერა - დგომა სხვების წინაშე და საკუთარი თავის, საკუთარი სათქმელის გადაცემა. თუმცა არჩევანი უკვე გაკეთებულია და ადგილებიც ათვისებული.

ამას წინათ, გოგი გვახარიას გადაცემაში ახალგაზრდების დუმილზე საუბრობდნენ. რომ ისინი არ ჩანან. რომ არაფერს ამბობენ და რომ უნდა განდევნოს სურვილი. თუმცა მე მჯერა, რომ სათქმელი არის. თანაც იმდენი რომ სივრცე ვერც იტევს. და ზოგჯერ ვამბობ(თ) კიდევაც.

მთავარია იყოს მსმენელი, მკითხველი, მყურებელი, მიმრთმევი, ან არმიმრთმევი. მე ამ შემთხვევაში მკითხველი ვარ და იქვე შვა-ს კლუბში კედელთან შემთხვევით მდგომი, საკუთარი თავისთვის გამონერულ სამკურნალო რეცეპტებს ვკითხულობ. დიდი ასობით და გამოკვეთილად წერია: "საზოგადოებისათვის საჭირო რეცეპტები", თანაც სერტიფიცირებული "ჯანსაღი სამინისტროს" მიერ. გამოსახული ფერადი აბები, რომლებსაც დანიშნულება ფერების მიხედვით აქვთ. ისამინსფერი - აფერხებს ძალაუფლები-



მიმა კასრადის ნამუშევარი

სა და მმართველობის სურვილს, ყვითელი - ხსნის საზოგადოებრივ კომპლექსს, ვარდისფერი - აძლიერებს ხელოვნების მიმართ სიყვარულს, ნარინჯისფერი - აძლიერებს ადამიანში პასუხისმგებლობისა

და სისუფთავის შეგრძნებას, ღია მწვანე - აერთიანებს საზოგადოებას ძირითადი ეროვნული საკითხების მიმართ, ცისფერი - ხელს უწყობს ადამიანის სულიერ განვითარებას, ფორთოხლისფერი - უხევენავს

ადამიანს გემოვნებას სხვადასხვა სფეროში, მწვანე - აძლიერებს ბუნების მიმართ სიყვარულს, მუქი ვარდისფერი - შურის სანიინააღმდგო. როგორც შემდეგ ვარკვევ ავტორი

საკუთარ თავს ექიმს სულ არ უწოდებს, მეუბნება რომ ხელოვანია. განცხადება ისეთივე ხმამაღალია, როგორც რეცეპტები. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. საკმაოდ დიდი ენთუზიაზმით თავის შემოქმედებას მაცნობს და წინ მომავლის სურათსაც მიხატავს. შავ ფონზე გამოსახული ქრომოსომებით მომავალი თაობის შემადგენლობას მაცნობს. ქრომოსომები რატომღაც პოლიტიკოსებით, ზარმაცებით, ოუდებით, მხატვრებით, ნარკომანებით, ფილოსოფოსებით, მუსიკოსებით, ცისფერებით, ძუნებით, და ჯერ კიდევ ამოუცნობი ობიექტებით - X-ებით შედგება.

მოკლედ, ეს მოსაზრებები და გამოფენილი ნახატები, ფოტოები, კომპიუტერული გრაფიკები და რეცეპტებ-პროგნოზები მიმა კასრადის ეკუთვნის.

"პროფესიით დიზაინერი ვარ. მერე ფოტოგრაფიამ გამიტაცა, აქტიურად ვიღებ მონაწილეობას ფოტოკონკურსებში. პირველი პერსონალური გამოფენა არის" საგამოფენო დარბაზში მქონდა სახელოვნობით "გადავარჩინეთ დედამინამეზენ ზემოქმედებისაგან". შარდენის გობელის მუზეუმში გამოფენე 40-მდე ნამუშევარი სხვადასხვა თემაზე. არტ-გენის შემდეგ, ამ კვირაში შაბათ-კვირას ვეგემავ მოძრაობის თეატრში მორიგი პერსონალური გამოფენის გამართვას.

ჩემთვის მთავარია იდეა! იდეიდან მოდის ყველაფერი. უბრალოდ სადმე ქუჩაში ან ჩვენს რეალობაში არსებული მოთხოვნილებებიდან იბადება იდეები, რომლებიც ვფიქრობ არ უნდა დაიკარგოს. ჩემი შემოქმედება ჩემი თავის გამოხატულებაა, რაც მიფიქრია, რაზეც მიოცნებია, რაც მანულებს, რაც მომხდარა, რაც ხდება. რაც მთავარია ჩემს ნამუშევრებთან დიდხანს ჩერდებიან და ინტერესდებიან, აკვირდებიან, ცოტას რომ აუფხსნი მერე იგებენ..." - ამბობს მიმა კასრადი.

არ ვიცი საიდან მოდის და როდის, ვის რა დოზით უჩნდება საკუთარი თავის გამოხატვის სურვილი. არის თუ არა ეგოიზმი საკუთარის სხვებისთვის გაუცემლობა, თუ საკუთარი იდეების გამოხატვა თვითრეალიზაციის კომფორტული გზაა, ბრძოლა საზოგადოებაში სასურველი ნიშის დასაკავებლად, უბრალო მოთხოვნილება, თუ აუცილებლობა. ხელოვნების ნიმუშებსაც დრო აჩენს, თუმცა არსებობს ყველაზე მეტად ღირებული, მნიშვნელოვანი და საჭირო - იდეა - სათქმელი. მთავარია არსებობდეს სათქმელი, რომლის თქმისთვის საჭირო სივრცე დღეს იმდენად თავისუფალი და დიდია, რომ ალბათ დამაბნეველიც და დაუფასებელიც. ჩვენ კი იგი ასე გვჭირდება...

## სიასლეთი! დასვენება 50 ლარად!

**გაზაღების სასტუმრო კომპლექსში საუკეთესო ფასად, ღამისთევის გარეშე, მთელი დღის განმავლობაში შეგიძლიათ დაისვენოთ, გაართოთ და მიიღოთ შედეგი სახის მოხსარება:**

- ერთჯერადი კვება ( მსუბუქი ლანჩი)
- პლაჟი (ქოლგა, შეზლონგი)
- ღია აუზი (ქოლგა, შეზლონგი)
- წყლის ველოსიპედები, იალჩიანი და გასაბერი ნავეები
- სპორტული მოედნები (პლაჟის ფრენბურთი, ჩოგბურთის კორტი)
- საბავშვო ატრაქციონები
- უფასო ავტოსადგომი
- 6 ნლამდე ბავშვებისთვის უფასოდ
- ბავშვები 6-დან 12 ნლამდე 50% ფასდაკლებით.

ეს ყველაფერი მხოლოდ 50 ლარად!



ღამათაბითი ინფორმაციისთვის ღარაკით: 44 99 77 (შიდა: 30-01 ან 30-02)











სს „დიპლომის შემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკის“ სალიკვიდაციო კომისია აცხადებს აუქციონს საზოგადოების გალანსზე რიცხული, ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33-ში მდებარე უძრავი ქონებისა და 863 ერთეული ძირითადი საშუალების (აქტიური ნაწილი) რეალიზების შესახებ.

Table with 6 columns: Lot No., Description of property, Current market value (GEL), Bid (GEL), Offer (GEL), and Minimum bid (GEL). It lists various lots including medical equipment and real estate, with a total of 863 units.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლით საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს. გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა არ იქნება მას გამარჯვებულის სტატუსს. თუ შედეგად დათქმულ ვადაში არ გადაიხდის სრულად ქონების გამოსასყიდ ღირებულებას, აუქციონის შედეგები უქმდება და გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ არ უბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ სს „დიპლომის შემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკაში“;
ბ) „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედი ამონაწერი სამწარმოო რეგისტრაციის;

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ შედეგად დათქმულ ვადებში სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონაგაყრილ დაჯილდოებაში განაცხადის რეგისტრაციის მომენტთან განმცხადებელი იქნის აუქციონში მონაწილის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი – ძირითად საშუალებებზე საწყისი გასაყიდ ფასზე ბიჯის დანაშაულის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2009 წლის 31 ივლისიდან 2009 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით (უქმე და დასვენების დღეების გარდა) 11 საათიდან 16 საათამდე შემდეგ, აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 14 აგვისტოს 16:30 საათზე.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

საბანკო რეკვიზიტები სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ვაკე-საბურთალოს ფილიალი, ბანკის კოდი: 220101670, მიმღების დასახელება: სააქციო საზოგადოება „დიპლომის შემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო

აკადემიის კლინიკა“, ანგარიშის №42403608
საკონტაქტო ტელ: 223318, 899 268426.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ატარებს დია განმეორებით აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოიტანა იქნება ს/ს „შერქანი“-ს (სს 201952173) კუთვნილი, ქ. თბილისი, დიდუბის ქ. №24-ში მდებარე ქონება, კერძოდ:

Table with 5 columns: Lot No., Description, Current market value, Bid, and Minimum bid. It lists two lots of real estate with their respective values and bids.

(შეფასებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დეკან სამხარაულის სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ).

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 18 აგვისტოს დღის 12 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ბაგდადის ქ. №8, თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვადდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვადდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ამ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეტანასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი შედეგად, რომელიც აუქციონზე შეესყიდის ქონებას, ვადდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მოღვივება დაფარვამდე შედეგად არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების ვფლება.

ქველად დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოიტანს ქონებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მსურველები 2009 წლის 18 აგვისტომდე დაგვიკავშირდნენ ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია) ტელეფონზე 26-17-62.

### ბანკსადება სელსალი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს დაბა ხარაგაულში სახანძროს შენობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და ინვესტორს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხოვნი სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 300283174, ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ხარაგაული) ანგარიში N200122900, მიმღები ბანკი სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222, სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოს შემდეგ მისამართზე: ხარაგაული, 9 აპრილის ქ. N 15 მე-2 სართული, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 31 ივლისიდან იმავე წლის 20 აგვისტოს 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე ხარაგაული, 9 აპრილის ქ. N15 მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა მე-2 სართული.

3. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინოს ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 20 აგვისტოს 11.00 საათიდან 15.00 საათამდე, მისამართზე: ხარაგაული, 9 აპრილის ქ. N 15 მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა მე-2 სართული, საფინანსო სამსახური.

სამუშაოს შესრულების სასურველი ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 90 კალენდარული დღე.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 4.1 იურიდიული პირებისათვის:
  - ა) ცნობა - საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.
  - ბ) ცნობა - საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.
  - გ) ცნობა - სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.
  - დ) ამონაწერი სამენარმო რეესტრიდან.
  - ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ვ) ინფორმაცია ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ.  
ზ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პრეტენდენტი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

4.2 ფიზიკური პირებისათვის:

- ა) ცნობა - საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.
- ბ) ცნობა - საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
- გ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- დ) ინფორმაცია ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ.
- ე) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პრეტენდენტი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.
- 5. პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება გარდა 4.1-ის ვ და 4.2-ის დ ქვეპუნქტებისა.
- 6. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
- 7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება და არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
- 8. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.
- 9. ტენდერში მონაწილე პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.
- 10. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.
- 11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირის საგან: კვირიკაშვილი ლაშა 877 95 75 33.  
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისია

### შ.პ.ს. "ენგურჰესი" აცხადებს აუქციონს

თაღოვანი კაშხლის მიდებარე წალენჯიხის რაიონი დასახლება ფოცხო-ენერში შპს ენგურჰესის საკუთრებაში არსებული N47 საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განთავსებული ფართის ნაწილის იჯარაზე (ბინა N10).

იჯარით გასაცემი ობიექტის საერთო ფართი შეადგენს 52,50კვ.მ-ს. (ორ ოთახიანი და სველი ნერტილი) 1 კვადრატული მეტრის სანყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 5.5 ლარს, ხოლო ბიჯი 0.5 ლარს. ბე" 100 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, იჯარით გასაცემი ობიექტის დასახელებას, ყოველთვიური საიჯარო ქირის სანყის ფასს, რომლის იჯარით ალბაც მას სურს.

- ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე

**სს პროკრედიტ ბანკის ქუთაისის ფილიალის ზუგდიდის განყოფილება**  
**ს/კოდი 251716371 ა/ა 301467126 ბ/კ 220101929**

- პირადობის დამდასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში).
- სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედი ამონაწერი სამენარმო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მონაწილე იღებს აუქციონში მონაწილეობის ბილეთს. მონაწილის ბილეთით მონაწილე ლეზულობს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

M მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 5 ლარს, რომელიც ასევე უნდა იქნას გადახდილი ზემოაღნიშნულ მისამართზე.

საიჯარო თანხაში არ შედის წყლის, ელექტროენერჯის, დასუფთავებისა და სხვა კომუნალური გადასახადები. აღნიშნულ ხარჯებს გადაიხდის მოიჯარე.

აუქციონში გამარჯვებულს შეტანილი ბე" ეთვლება პირველი თვის საიჯარო თანხის ანგარიშსწორებისას.

ინფორმაცია განცხადების მიღების შესახებ:

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 14 აგვისტოს 14:00 საათზე, ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა 90, მე-2 სართული.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება 2009 წლის 31 ივლისიდან 2009 წლის 14 აგვისტოს 13 სთ-მდე. აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა 90, მე-2 სართული.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღება მთავრდება დადგენილ დღეს და საათს. დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული განცხადებები არ მიიღება.

ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს საიჯაროდ გამოტანილ ქონებას. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ მისამართზე:

ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა 90, მე-2 სართული. შ.პ.ს. ენგურჰესი"-ს ზუგდიდის ოფისი, ტელ: 8215-28816 , 895-22-70-50

ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N50, მე-3 სართული. შ.პ.ს. ენგურჰესი"-ს თბილისის ოფისი, ტელ: 822-29-43-62.

### სახხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა 2009 წლის 31 აგვისტოს ატარებს აუქციონს

აუქციონი 2009 წლის 31 აგვისტო 16 სთ 30 წთ

№	საპრივატიზებო დასახელება	ქონების მისამართი	მიწის კატეგორია	ფართი	საწყისი ფასი (ლარებში)	ბე (ლარებში)	ბიჯი (ლარებში)	ბილეთის ფასი (ლარებში)
1	არასასოფლო საშენობლო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სახხერის მუნიციპალიტეტი სოფელი მახათაქერი		23,18	110	35	11	20

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ავტონომიური თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია

განაცხადებები მიიღება 2009 წლის 31 ივლისიდან 2009 წლის 31 აგვისტოს წათვლით 10 საათიდან 16 საათამდე, მისამართზე ქ. სახხერი თავისუფლების ქ. №4, სააუქციონო კომისია. საკონტაქტო ტელეფონი 898-33-72-35. აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 31 აგვისტოს 16.30 საათზე.

მიღებული ვადლებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი. თუ მიღებული არ გადაიხდის დადგენილ ვადაში ქონების გამოსახეიდ თანხას მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი ბე" არ დაუბრუნდება. ასევე მიღებული ვადების შეხედული ქონების გადაფორმების ხარჯები

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიის უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები: ა) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას

აუქციონში მონაწილესა და გასაყიდი ქონების დასახელებას, ბ) ბე"-ს და ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტს, რომლის გადახდა უნდა მოხდეს სს „სახხერის ბანკის“ სახხერის ფილიალი, ბანკის კოდი-220101467, გამგეობის სატენდერო და აუქციონის მოსაკრებლის მისწობრივი დანიშნულების ანგარიში №33050037, გ) პირადობის დამდასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს ფიზიკური პირის შემთხვევაში, დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით, ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამენარმო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იღებს აუქციონში მონაწილის სტატუსს

სახხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა







### თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია 2009 წლის 1 სექტემბერს ატარებს აუქციონს პირობით

აუქციონზე გამოტანილი იქნება თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკუთრებაში არსებული, ქ. რუსთავში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (კონსტიტუციისა და ქაშაკაშვილის ქუჩების გამოკლებით) განთავსებული თბოქსელის სისტემა, ექსპლუატაციის მიზნით, რომელიც წარმოადგენს მინისქვეშა კომუნიკაციას. ქონების მახასიათებლებია:

- 1. თბოქსელის სისტემა მისამართი: ქ. რუსთავი, მარცხენა სანაპირო ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი 1965წ. გრძივი მეტრი -40978მეტრი სანაყისი საპრივატიზაციო ფასი -160000 (ასსამოციათასი) ლარი, ბე" -32000 (ოცდათორმეტიათასი) ლარი ბიჯი" 1000 (ათასი) ლარი.

**აუქციონის პირობები:**

- 1. საბოლოო თანხის დაფარვა მოხდეს 2009 წლის 30 ნოემბრამდე.
- აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:** აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის პირობით დათქმულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე"-ს შენატანს არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი N20) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9

საათიდან 15 საათამდე, აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

- ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
- ბ) "ბე"-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს: ს.ს. "საქართველოს ბანკი" რუსთავის ფილიალი ბ.კ. 220101502 საიდენტიფიკაციო კოდი 216290458 ა.ნ. 266897601 (მიეთითოს გადასახადის დანიშნულება).
- გ) მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს: 220101222 სახელმწიფო ხაზინა 200122900 ერთიანი ანგარიში სხვა შემოსულობები (რუსთავი) სახაზინო კოდი 300063282 (სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)
- დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მონომობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
- ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში) აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ სანაყის ფასზე "ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი N20 ტელ: (824) 12 12 66



### განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის დაფინანსების ფარგლებში აცხადებს ტენდერს უნივერსიტეტის კუთვნილი შენობების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

შესყიდვის ობიექტი – რეაბილიტაციის სამუშაოები.

ლოტი №	ქალაქი	სამუშაოს აღწერა	დასრულების ვადა
I.	ლანჩხუთის რაიონი, დაბა გრიგოლეთი	დაბა გრიგოლეთის საზღვაო ბიოლოგიური ცენტრის რეაბილიტაციისა და შემოღობვის სამუშაოები	არაუგვიანეს 2009 წლის 15 ნოემბრისა.
II.	დედოფლისწყაროს რაიონი, ქ. დედოფლისწყარო	ქალაქ დედოფლისწყაროში მდებარე უნივერსიტეტის კუთვნილი შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები	არაუგვიანეს 2009 წლის 10 დეკემბრისა.

**დაფინანსების წყარო** – „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი, საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა.

○ სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა გამოქვეყნების დღიდან – 2009 წლის 31 ივლისიდან – ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითარის წარმოდგენის შემდეგ 2009 წლის 20 აგვისტოს 17:00 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5. მე-2 სართული, ოთახი №237, სატენდერო კომისიის აპარატი.

- სახელმწიფო ხაზინა ბ/კოდი – 220101222;**
- ანგ/ანგარიში – 200122900;**
- საიდენტიფიკაციო კოდი – 206160606;**
- საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი – 300773174.**
- საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული: სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტენდერი №10**
- ქვითარის წარმოდგენის შემდეგ დაინტერესებულ პირს გადაეცემა სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. №3/5, მე-2 სართული, ოთახი №237, სატენდერო კომისიის აპარატი.
- დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), 2009 წლის 21 აგვისტოს 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5, მე-2 სართული, ოთახი №237, სატენდერო კომისიის აპარატი.
- წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2009 წლის 21 აგვისტოს 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5-ში, მე-3 სართული, ოთახი №349.
- დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**  
ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან) („სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება);  
ბ) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან („სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება);

- გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის ან რეაბილიტაციის საქმე (ცნობა სასამართლოდან) („სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება);
- დ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) („სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება);
- ე) ორგანიზაციის მოგების და ქონების წლიური დეკლარაციები (ბოლო 2 წლის).

**ფიზიკური პირისათვის:**  
ა) საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციები (ბოლო 3 წლის).

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**  
ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;  
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ („სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება).  
გ) ინფორმაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიურ სამუშაოების შესახებ.

- საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნები ასევე ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც.
- სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ 30 დღე.

- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი გარანტია, რომელიც 30 დღით უნდა აღმატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას და ხელშეკრულების უზრუნველყოფის 5%-იანი საბანკო გარანტია, რომელიც ასევე 30 დღით უნდა აღმატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.
  - იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას, რომელიც მათგანი შეუსაბამო ან ყალბი აღმოჩნდება.
  - ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.
  - სატენდერო წინადადებების შეფასებისას გამოყენებული იქნება შეფასების დამატებითი, განსხვავებული მეთოდი.
  - ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5, მე-2 სართული, საკონტაქტო პირები: შალვა ჯულაყიძე, ოთახი №237 (ტელ 877 50 74 54) და ია გოგოტიშვილი ოთახი №237 (ტელ 877 23 77 27).

